სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

28015349228520

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N200814905

რეგისტრაციის თარიღი

09.10.2020 წ

ნოტარიუსი: მარიამ ნავროზაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. #23ა, კომერციული ფართი #45 , ბლოკი "გ", II სართული
ტელეფონი: 598270730

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო

ორი ათას ოცი წლის ცხრა ოქტომბერს მე, ნოტარიუს მარიამ ნავროზაშვილს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. №23ა, კომერციული ფართი №45, ბლოკი ,,გ", II სართული, მომმართა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბაზიტი"-ის დირექტორმა ბატონმა მიხეილ ალიბეგაშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ სურს საზოგადოების სახელით ზურაბ ლოლაშვილს მიანიჭოს გარკვეული უფლებამოსილება და ამისათვის მოითხოვა სათანადო აქტის (მინდობილობის) შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად მიხეილ ალიბეგაშვილმა (დაბ. 31.10.1975წელს თბილისში, პირადი №01019005647, რეგისტრირებული: ქალაქი თბილისი, დეპოს ქუჩა, N 19) მომმართა.

მე შევამოწმე მისი უფლებამოსილება. იგი უფლებამოსილია წარმოადგინოს შპს „ბაზიტი", რაც დასტურდება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერით (იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, დეპოს ქ. #19, სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 15.12.2017, საიდენტიფიკაციო კოდი: № 400225065), ამონაწერის მომზადების თარიღი: 2020 წლის 2 მარტი.

მე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა. მე, ნოტარიუსმა მარიამ ნავროზაშვილმა შევადგინე წინამდებარე მინდობილობა წავუკითხე მარწმუნებელს და განვუმარტე მისი შინაარსი. მან პირადად წაიკითხა მინდობილობა და დაადასტურა, რომ მინდობილობა სრულად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგაც პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას:

მინდობილობა

ორი ათას ოცი წლის ცხრა ოქტომბერს მიხეილ ალიბეგაშვილმა, როგორც შპს „ბაზიტი"-ის (ს/კ № 400225065) დირექტორმა, რომელიც შემდეგში წოდებულია, როგორც "მარწმუნებელი", წინამდებარე მინდობილობით ზურაბ ლოლაშვილს (დაბ. 01.10.1961წელს, პირადი № 01008008282), რომელიც შემდეგში წოდებულია, როგორც "რწმუნებული", საზოგადოების სახელით მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

1. რწმუნებული უფლებამოსილია აწარმოოს შპს „ბაზიტი"-ის (ს/კ № 400225065) კუთვნილ უძრავ ნივთებზე საპროექტო და სამშენებლო საქმეები. ამ მიზნით იყოს მარწმუნებლის წარმომადგენელი სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, იუსტიციის სახლში, იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ადმინისტრაციულ ორგანოებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, გამგეობაში, მერიასა და მის დაქვემდებარებაში არსებულ სამსახურებში, არქიტექტურის სამსახურში, მერიის ურბანული დაგეგმარების სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურში, ქონების მართვის სააგენტოში, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში, ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურში, საკრებულოში, ჩააბაროს და მოიპოვოს ყველა საჭირო საბუთი მარწმუნებლის სახელით, გააკეთოს მარწმუნებლის სახელით ნებისმიერი სახის განცხადებები, ჩაატაროს აზომვითი სამუშაოები, შეადგინოს და მიიღოს მშენებლობის პროექტი და ნებართვა, ასევე მოახდინოს პროექტის შეცვლა (რეკონსტრუქცია), გადაიხადოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადები, მოაწეროს ხელი მარწმუნებლის მაგიერ საჭირო დოკუმეტებს, მშენებლობის დასრულების შემდეგ გაატაროს რეგისტრაციაში საჯარო რეესტრში უძრავი ქონება, აიღოს ამონაწერი და შეასრულოს ის ფორმალური მოქმედებები, რაც დაკავშრებულია ამ დავალებასთან.

2. ეს მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომლის ერთი ეგზემპლარი ინახება სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მხარეს.

3. მინდობილობა ძალაშია ორი ათას ოცდაორი წლის ცხრა ოქტომბრის ჩათვლით.

გადახდილია 12,00 (თორმეტი) ლარი - აქედან: სანოტარო საზღაური 10,00 ლარი, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების" შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (2011წლის 29 დეკემბერი, №507) 31-ე მუხლის მე-7 პუნქტისა და რეესტრში რეგისტრაციის საფასური 2 ლარი (დღგ-ს ჩათვლით), თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (2011წლის 29 დეკემბერი, №507) 39-ე მუხლისა.

მარწმუნებელი: _____

ნოტარიუსი მარიამ ნავროზაშვილი